N 50 07/04/2020

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 3

დ. ჩოხატაური **30 მარტი 2020 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ქეთევან სიხარულიძე, გიორგი რამიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, იაშა შათირიშვილი, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი - ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი ინფრასტრუქტურულ საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიცპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ზვიად მამალაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიცპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

I საკითხი:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის დარიგდა ერთი თვის საკვები პროდუქტები. ვინ და როგორ მოახდინა შესყიდვა ამ პროდუქტების?

მაია გოგოლაძე: - პროდუქტები შეიძინა (აიპმა მომავალმა) და დარიგებაც იგივე აიპმა მოახდინა.

ბექა გამდლიშვილი - 50.000 ლარი რომელიც საგანგებო ბიუჯეტში უნდა აისახოს ითვალისწინებს

თუ არა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას მუნიციპალიტეტის მაშტაბით ჩატარებას?

მაია გოგოლაძე:- პირველ ეტაპზე სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა ბაღებში, სკოლებში, ადმინისტრაციულ შენობებში. თუ კი იქნება „ჯანდაცვის ცენტრიდან“ დამატებითი მოთხოვნა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაზე ამ მუხლიდან შეიძლება თანხების გამოყოფა.

ზაალ მამალაძე: - როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული 50.000 ლარი „საგანგებო ბიუჯეტისათვის“ გამოყოფილია პროგრამული კოდი (01, 07) რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ერთი თვის საკვები პროდუქტების შეძენას;
- მარტოხელა ხანდაზმული ასაკის მოქალაქეებისათვის საკვები პროდუქტების შეძენა;
- სანიტარულ ჰიგიენური ინვენტარის შეძენას;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გადაადგილებისათვის საჭირო საწვავის შეძენას ;

ამ მუხლიდან შეიძლება სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაც.

ბექა გამდლიშვილი: - თუ არის შესაძლებელია ჩაშლილი ფორმით მომაწოდეთ აღნიშნული მუხლიდან ხარჯვის ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

II საკითხი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ვლადიმერ სიხარულიძემ,** რომელმაც „ბავშვთა უფლებების“ განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით დასვა კითხვა: ხომ არ აჯობებდა ეს განყოფილება შეგვექმნა „განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის სამსახურის სტრუქტურაში. რადგან წინ გვაქვს ბაღების ავტორიზაციის პროცესი. ეს საკითხები ერთი სამსახურის ქოლგის ქვეშ გაერთიანდებოდა.

თეა უჯმაჯურიძე: - ჩვენც ვიმსჯელეთ მაგ საკითხთან დაკავშირებით და რადგანაც „ბავშვთა უფლებების“ განყოფილებამ უნდა იმუშაოს სოციალური დაცვის მიმართულებითაც ვამჯობინეთ განყოფილება შეგვექმნა სოციალირ სამსახურში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

III საკითხი:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიცპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიცპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ერეკლე უღრელიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ გოგოურში მოსახლეობამ პირველ ეტაპზე მოითხოვა მოსაცდელის აგება, მაგრამ შემდგომში შეიცვალა შიდა გზების რეაბილიტაციის მოითხოვნით. მაინტერესებს ხომ არის მოქალაქეების აზრი გათვალისწინებული?

ზაალ მამალაძე - ახლავე შეგვიძლია გადავამოწმოთ თუ რომელი მოთხოვნის პროექტირება მიმდინარეობს. ჩვენ კენჭი უყაროთ გოგოურში შიდა გზების რეაბილიტაციის საკითხს ამ შესწორებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა